



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31203294

თარიღი:24/11/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ

საკითხთა, განათლების, კულტურისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. ლანჩხუთი

19.11.2020 წელი

12.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე;**

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, ბესიკ კუპრაძე, გიორგი გვარჯალაძე, ელისო ჭიჭინაძე, კარლო კვიციანიშვილი, გოდერძი ქურიძე, კახა თედორაძე.

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

2. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშნიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 11,850.4 ლარით.

ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ გამოითქვა შემდეგი სახის შენიშვნები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალი წლის ბიუჯეტში. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ აღმზრდელებს უნდა გაეზარდოთ სახელფასო ანაზღაურება, ასევე უნდა მოწესრიგდეს საჯარო მოხელეთა ხელფასი და სახელფასო ფონდი დაიგეგმოს ცამეტ თვეზე. თანხები უნდა გამოიყოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვისა და ინტერნეტიზაციისთვის, ასევე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის სარემონტო სამუშაოებისთვის. დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ დააყენა საკითხი, რომ აუცილებელია გამოიყოს თანხები ლესისა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საექიმო უბნების რეაბილიტაციისთვის.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნას მერიამ.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

2. სხვადასხვა

კომისიის წევრმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ პანდემიის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია მუნიციპალიტეტში იყოს ცხელების ცენტრი. მისი თქმით, შესაძლებელია გამოიყოს თანხები და გარემონტდეს საავადმყოფოს შენობა.

ვინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე

ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია-საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის
სხდომის დასკვნა №2

19.11.2020 წელი
12.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 19 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:


1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ემზარ თევდორაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნას მერიაში.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების,
კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარე











ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

19. 11. 2020 წელი

12. 00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ემზარ თევდორაძე	11 ⁵⁰	
2. კარლო კვიციანიშვილი	10 ⁵⁵	
3. გოდერძი ქურიძე	11 ⁵⁴	
4. კახა თედორაძე	11 ⁵⁵	
5. რეზო კვაჭაძე	სტესნიუროვ	
6. ზაალ სანაძე	11 ⁵⁵	
7. ბესიკ კუპრაძე	11 ⁵⁷	
8. ამირან ქანთარია	სტესნიუროვ	
9. გიორგი გვარჯალაძე	11.58.	
10. რეზო კვერენჩილაძე	სტესნიუროვ	
11. ელისო ჭიჭინაძე	11 ⁵⁰	
12. ამირან გიგინეიშვილი	სტესნიუროვ	
13. ლელა ჩახვაძე	სტესნიუროვ	
14. ცისანა ურუშაძე	სტესნიუროვ	